თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №21

30 მარტი **2018** წელი

ქ. თეთრიწყარო

მუნიციპალიტეტის საკუთრებად რიცხული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.დ" ქვეპუნქტისა და 122-ე მუხლის საფუძველზე

მუხლი 1.
ნება დაერთოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერს მიიღოს გადაწყვეტილება ქ.თეთრიწყაროში, რუსთაველის ქუჩა N27 - ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ84.01.35.041) ა.ა.ი.პ „თეთრიწყაროს ახაგაზრდული ცენტრისათვის" 2 (ორი) წლის ვადით, პირდაპირი წესით, პირობებიანი სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე და განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმება კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2.
განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3.
განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში,(ქ.თეთრიწყარო, კოსტავას ქ. N11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მისი მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გოჩა თედორაძე
საკრებულოს თავმჯდომარე